საქართველოს
რკინიგზა
1872-დან

25.12.2024

N 5675

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს

გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსს

ი. ჩიდრაშვილი

სს „საქართველოს რკინიგზაში“ შემოსულია თქვენი 2024 წლის 26 ნოემბრის #6/68155 წერილი, რომელიც ეხება ქ. ფოთში, ლარნაკას ქუჩაზე განლაგებული, სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის (საკ. კოდი 04.01.03.1057) პრივატიზების საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ საპრივატიზებო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების 2.07.01-89 „ქალაქთმშენებლობა“-ს 3.8 და 6.8 პუნქტების, ნავთობპროდუქტების საწყობების სამშენებლო ნორმების და წესების СНиП II-106-79, 12.8 პუნქტის ცხრილი 13-ის, სახანძრო უსაფრთხოების ნორმების НПБ 111-98 ცხრილი 1-ის მიერ დადგენილი პირობები (შეზღუდვები). უძრავ ქონებაზე გავრცელებული სხვა პირობები (შეზღუდვები) დამოკიდებულია განხორციელებული საქმიანობის სახეობაზე და რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობებით, ნორმატიული დოკუმენტებით, სამშენებლო-ტექნიკური ნორმებითა და წესებით, სახანძრო უსაფრთხოების და სანიტარულ-ჰიგიენური წესების მოთხოვნებით.

საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების 2.07.01-89 „ქალაქთმშენებლობა“-ს პუნქტი 6.8-ის მოთხოვნის თანახმად - საცხოვრებელი განაშენიანება საჭიროა გამოცალკევდეს რკინიგზის ხაზებისაგან სანიტარულ-დამცველი ზონებით სიგანით 100 მ., ათვლა ხდება განაპირა სარკინიგზო ლიანდაგის ღერძიდან. იმ შემთხვევაში, როცა რკინიგზის ხაზი განლაგებულია ჭრილში ან ხორციელდება სპეციალური ღონისძიებები ხმაურისგან დასაცავად, რომლებიც უზრუნველყოფენ სამშენებლო ნორმების და წესების II-12-77-ის მოთხოვნებს, - დასაშვებია სანიტარულ-დამცველი ზონის სიგანე შემცირდეს, მაგრამ არა უმეტეს - 50 მეტრით.

მიწის ნაკვეთზე დაცული უნდა იყოს საგაბარიტო ზომები, კერძოდ განაპირა ლიანდაგის ღერძიდან 11 მეტრის მანძილზე დაუშვებელია შენობა-ნაგებობების მშენებლობა.

ტერიტორიაზე დაგეგმილი ნებისმიერი მშენებლობის პროექტი წინასწარ უნდა იყოს განხილული სს „საქართველოს რკინიგზაში“.

ზემოთ მითითებული პირობების დაცვის შემთხვევაში, სს „საქართველოს რკინიგზა“ არ არის წინააღმდეგი ქ. ფოთში, ლარნაკას ქუჩაზე განლაგებული, სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის (საკ. კოდი 04.01.03.1057) პრივატიზების.

კორპორატიული მართვის დეპარტამენტის უფროსი

ნინო ჯორბენაძე

თამარ მეფის გამზირი N15
თბილისი, საქართველო 0102

N15, Tamar Mepe Ave
0102, Tbilisi, Georgia 0102

Tel : 219-95-67 ; 219-91-59
Mail : Kancellary@railway.ge

ს/კ : 202886010

3 № 015339